

**„ქრისტე აღდგა“ თუ „ქრისტე აღსდგა“<sup>1</sup>**

ბოლო წლებში, ყოველი აღდგომის დღესასწაულის დღეებში, შეინიშნება ერთგვარი გამძაფრებული ინტერესი-გამოძიება სწორი ფორმისა: „ქრისტე აღდგა!“ თუ „ქრისტე აღსდგა!“..? დღესასწაულის მონაწილეთათვის სრულიად ბუნებრივია და მისაღები: „ქრისტე აღსდგა!“ ასე ისმის ამბიონიდან; ასეა ლიტურგიკულ კრებულებში, რომლებიც იკითხებოდა და იკითხება აღდგომის დღესასწაულზე და დღესასწაულის დღეებში, – ბრწყინვალე შვიდეულიდან ამდღებამდე, დღესასწაულის წარგზავნამდე; ასეა XIX-XX საუკუნეების კლასიკოსთა ნაწერებში (ილია, აკაკი, ვაჟა...); ასე იწერებოდა წლების განმავლობაში XX საუკუნის პრესაშიც, ასე ულოცავდნენ და ულოცავენ დღესაც მართლმადიდებლები უდიდეს ქრისტიანულ საუფლო დღესასწაულს ერთმანეთს.

დღეს ენათმეცნიერთა ერთი ნაწილის კატეგორიული მოთხოვნით (გრამატიკული თვალსაზრისით მართებულადაც), „ქრისტე აღსდგა!“ შეცდომაა და უნდა იწერებოდეს: „ქრისტე აღდგა!“

ამის შესახებ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში აკაკი შანიძე თავის საკვალიფიკაციო ნაშრომში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ წერდა<sup>2</sup>: „ცოცხალ ენას, ისეთსაც კი, რომელიც ლიტერატურული ტრადიციის ვიწრო კალაპოტშია მომწყვდეული, არ შეუძლია ერთ დონეზე დადგეს და დიდხანს ემორჩილებოდეს ერთხელ შექმნილ-შემუშავებულ ნორმებს, არამედ იგი მუდამ ძველი ფორმების დარღვევისა და ახლის შექმნის პროცეს-

---

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად 2012 წელს ბესარიონ ჯორბენაძის სამეცნიერო საზოგადოების XII სესიაზე.

<sup>2</sup> „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ ცალკე წიგნად გამოსცა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1920 წელს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის 1919 წლის 20 ენკენისთვის დადგენილებით (დეკანი ივ. ჯავახიშვილი).

შია. მრავალია ამისი მიზეზი, მაგრამ ამ მრავალ მიზეზთაგან ჩვენთვის ამ ჟამად საყურადღებოა უმთავრესად ერთი მოვლენა, რომელსაც ენის ისტორიული განვითარების დროს ვამჩნევთ. ეს არის ტენდენცია – გამარტივებულ იქნეს ის ძნელი სამუშაო, რომელიც მუდამ თავს აწევს მოუბარ ადამიანს. ამ ტენდენციის დროს ენა ფართოდ იყენებს ანალოგიასა და ანალოგიურ მეთოდს ფორმების წარმოებისათვის და იმის წყალობით ზოგჯერ ერთ უბრალო შაბლონამდე მოჰყავს ნაირ-ნაირი და მრავალფეროვანი მოვლენა ადამიანის მეტყველებისა.

ქართული ზმნების უღლებას, – ჩვენი პრეფიქსების ხმარების წესების მხრივ, ძველადგანვე თან-დაყოლილი ჰქონდა ისეთი თვისება, რომ ადვილად შეიძლებოდა მისი ნორმების შერყევა და შემდეგ დარღვევაც. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ის გარემოება, რომ სხვადასხვა მორფოლოგიურ ელემენტებს ( $S_2$  და  $O_3$ ) ერთი და იგივე ფონეტიკური სახე აქვს, საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ ისინი ერთურთში აპროედა კაცს. ეს მით უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო, რომ ამ პრეფიქსების ხმარების წესები, განსაკუთრებით კი ნორმები მესამე ობიექტური პირის უღლები-სა, ზოგჯერ ძნელად გასაგებია, ყოველ შემთხვევაში რთულია ძალიან. ამიტომ ენას უნდა მოენახა რაიმე გამოსავალი, რომ სირთულე გაემარტივებინა და ამით შეემსუბუქებინა ის მძიმე საქმე, რომელიც მოითხოვდა (და მერმე ყოველ წუთს!) მეტისმეტ სიფხიზლეს გრამატიკული აზროვნების სფეროში. გამოსავალი აღმოჩნდა, მაგრამ ორგვარი: ერთმა იქამდე მოგვიყვანა, რომ სუბიექტობიექტური პრეფიქსი  $\frac{3}{/}$  ისეთ ფორმებში გაჩნდა, სადაც მას არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ხოლო მეორემ, პირიქით, სულ მთლად გამოდევნა იგი ხმარებიდან. ორსავე უკიდურესობას სათავე ძველ ქართულში აქვს“, – წერდა აკაკი შანიძე [შანიძე II, 1981: 179].

ხშირად ეს ცვლილებები დამოკიდებული იყო სკოლაზე, ადგილზე, ავტორისა თუ გადამწერლის ვინაობაზე... მაგალითად, „ათონისა და ტბეთის სახარებაში (მათესა და მარკოზის თავში) ხშირია მრჩობლი (ჰს) პრეფიქსის ხმარება, მაშინ როდესაც ძველი აღთქმის წიგნებში (შექმნათა, გამოსვლათა, ლევიტელთა) ასეთი მოვლენა იშვიათია. ამას გარდა, ვულგარიზმებით სავსეა, მაგალითად, იერუსალიმის განჩინება“, – შენიშნავს აკ. შანიძე [იქვე,

210] და მოჰყავს შემდეგი ილუსტრაციები:

**„ქრისტე აღსდგა** (იერუს. განჩ. 46, 18-20); აწ **აღვსდგე**, იტყვის უფალი (იქვე 89, 1-2). წყალმან **დაჰფარის** ზღუად (იქვე 46, 18-20); ანუ არა მეზუერეთაცა იგივე **ჰყვიან?** (მათე 5, 46 ვარ.); ღმერთმან **სთქუა** (მათე 15,4); რომელმან **სთქუას** ბოროტი (იქვე)“... [შანიძე II, 1981: 213].

**იერუსალიმის განჩინება**, ეს არის თხოულება, რომელიც შეიცავს ქრისტეს საფლავზე შემუშავებულ იერუსალიმის რედაქციის ტიპიკონს, „კანონად“ სახელდებულს, რომლითაც უძველესი დროიდან ხელმძღვანელობდნენ მართლმადიდებლურ მონასტრებში. მისი სრული სათაურია: „განჩინება და განწესება მოძღუართამიერ მართლმორწმუნეთაჲ, რომელსა ჰყოფენ იერუსალჴმს“. ის კორნელი კეკელიძემ გამოსცა 1912 წელს. მკვლევრის აზრით, „ამ კანონში შენახულია ქრისტეს საფლავის ტჯპიკონი VII საუკუნის რედაქციისა, რომელიც ქართულად არა უგვიანეს VIII საუკუნისა უნდა იყოს ნათარგმნი, როგორც ამას ადასტურებს მისი ახლად აღმოჩენილი პალიმფსესტური ფრაგმენტი“ [კეკელიძე 1980: 574]. კორნელი კეკელიძე იმოწმებს აკაკი შანიძის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომს – „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში (III) დაიბეჭდა. „თხოულება ნათარგმნია ბერძნული ენიდან, მისი მთავარი ფუძე V საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც ამაში გვარწმუნებს ჩვენ სომხური ლექციონარები, რომელთა ერთი რედაქცია გამოსცა 1905 წ. ინგლისელმა არმენისტმა ფ. კონიბერმა, – წერდა კ. კეკელიძე, – ამ ლექციონარში იგივე დღესასწაულები და ხსენებანია, აგრეთვე იგივე სისტემა „საკითხავებისა“, რაც ჩვენს კანონში. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ თავდაპირველად როგორც სომხები, ისე ქართველები, ხელმძღვანელობდნენ **იერუსალიმის ან ქრისტეს საფლავის „კანონით“**, ე. ი. ტჯპიკონით, რომელიც მერე სომხებსაც შეუფარდებიათ თავიანთი ეკლესიის საჭიროებათათვის და ქართველებსაც. **„იერუსალიმის კანონი“ ჩვენში ხმარებაში იყო X საუკუნის დამლევამდე** [კეკელიძე 1980: 575].

„S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> მკვდარია უკვე, – აღნიშნავს აკაკი შანიძე – საშუალ ქართულში შერყეული იყო მხოლოდ, თორემ მთლად დარღვეული არ ყოფილა უღლების ნორმები: XI-XVII საუკუნეების

მეგლებში ჩვენი პრეფიქსების ბუნებისა და თვისების შეგნება საერთოდ გვარიანად მაღლა იდგა და მხოლოდ ანტონ კათალიკოზმა დაუკარგა მათ ყოველგვარი სასიცოცხლო ძალა და უბრალო სამკაულად აქცია XVIII საუკუნეში, მათი გამოცოცხლება და საჭიროების მიხედვით ხმარება აქამდე ვერ შეძლო ახალმა ქართულმა... ამიტომ ჰესა და ხანს ისეთ უადგილო ფორმებში შეჰხედებით, სადაც მოსალოდნელი არ არის, ანდა პირიქით, ხანდახან იქ ვერ იპოვით, სადაც მართლა საჭიროა და აუცილებელი. რის სუბიექტური პრეფიქსი, რის ობიექტური ნიშანი! რის ბრძანებითის გარჩევა თხრობითისაგან, რა მიცემითის დამატების განსხვავება სახელობითისაგან! რის აწმყო, რა ნამყო! ახალ სალიტერატურო ქართულში ეს პრეფიქსები მკვდარია და მათი გაგებისათვის გრამატიკული ალღო-გრძნობა სრულიად დაჩლუნგებულია“ [შანიძე II, 1981: 222].

საქმის ასეთმა მდგომარეობამ აიძულა ზოგიერთი პირი ორთოგრაფიული რეფორმა გაეტარებინა სალიტერატურო ენაში, მაგრამ ამოდ...

აკაკი შანიძე დაწვრილებით განიხილავს ამ მცდელობებს, მას მოხმობილი აქვს ს. ხუნდაძის, პ. მირიანაშვილის, მ. ყიფიანის თვალსაზრისები. აი, რამდენიმე მათგანი:

**სილოვან ხუნდაძე:** „არის ერთი ხმა, რომელიც მე... მეტ ბარგათ მიმაჩნია ქართული ენისათვის (სახელდობრ ზმნებში) და რომელსაც თითქმის ყველა ჩვენი მწერალი ებლაუჭება. ეს არის ჰ... ჰ-ს არსებობა, განსაკუთრებით ზმნებში, ჩემი აზრით, სრულიად უსაფუძვლოა: არც აზრისთვის არის საჭირო და არც კეთილხმოვანებისათვის... ზმნებში ჰ-ს ნუ ხმარობთ, – მაგალ., მას ქვია, ქონდა, გონია და სხვ. ... თუ ჰ-ს უარყოფ ზმნებში, სამაგიეროდ ხმა ხ აუცილებელ საჭიროთ მიმაჩნია ზმნების სხვადასხვა ფორმებში კეთილხმოვანებისათვის. ჩემი აზრით, ხ ზმნებში გამოთქმას აძლევს სინაზეს, სინატიფეს, თანაც სიდარბაისლეს... მაგალ., სდგამს, სთიბავს, სტირის, სძრავს, სწერს, სჭამს, სჯობნის“ და ა. შ. [შანიძე II, 1981: 224].

**პეტრე მირიანაშვილი:** „სახელზმნათა უღვლილების დროს წერაშიაც, ლაპარაკშიაც დაიცევით სახელნაცვალი ძირები ვჰ პირველის, ჰ მეორის და ჰ მესამე პირის მაჩვენებელი. მაგ.: ვჰ-ყოფ, ჰ-ყოფ, ჰ-ყოფს... ხოლო როცა სახელზმნა იწყებოდეს

დ, თ, ტ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ ხმებით, მაშინ **ჭ** შესცვალეთ **ს**-ანად, მაგ.: ვს-დებ, ვს-თხოვ, ვს-ტაცებ, ვს-ცემ... გახსოვდეთ, თუ სახელნაცვალში ძირები **ვჭ, ჭ** და **ს** არ იხმარეთ, სადაც საჭიროა ზმნათა უღვილების დროს, მაშინ ფორმის გაუკუღმართებას მოჰყვება აზრის გაუკუღმართებაც, მაგ.: ჰყვავის ბაღი, ყვავის ბუდე; მიყო სიკეთე, მიჰყო ხელი საქმესა; ჰქმნა სიკეთე, ქმნა სიკეთისა; ბატის ქონია, ბატის ტვინი ჰქონია; ჰკრავს ხელსა, კრავს აძოვებს; მიწერს წერილსა, მისწერს წერილსა; წერა წიგნისა, სწერა წიგნი; წევს ავადმყოფი, სწევს თამბაქოსა; დევნა მტრისა, სდევნა მტერი; ცემა ყმაწვილისა, სცემა ყმაწვილსა“... და ა. შ. [შანიძე II, 1981: 224].

საბოლოოდ ვერცერთმა მათგანმა ვერ მოიკიდა ფეხი სალიტერატურო ენაში და, „დღესაც ერთადერთი საზომი ჰაესა და სანის ხმარების საკითხის გადასაჭრელად არის თვითეული მწერლის სურვილი და მოწონება, – შენიშნავს აკაკი შანიძე, – ვისაც როგორ მოსწონს იმგვარად ხმარობს საუბარშიც და წერაშიც... აქ საკმარისია გავიხსენოთ, სათაური იაკობ გოგებაშვილის მოთხრობისა „იავნანამ რა ჰქმნა“ და აგრეთვე ის გარემოება, რომ გაზეთების სააღდგომო ნომერში ყოველწლივ ერთი და იგივეა განმეორებული: **„ქრისტე აღდგა“** [შანიძე II, 1981: 224].

საგულისხმოა, რომ აკაკი შანიძის ეს ნაშრომი გასულ საუკუნეში, თითქმის 100 წლის წინ, არის შესრულებული, ეს საკითხი კი დღესაც ისევ პრობლემურია, სადავოა და აქტუალური.

ბესარიონ ჯორბენაძე მონოგრაფიაში – „ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები“, რომელშიც შესწავლილია ფორმათა და სიტყვაწარმოების საშუალებათა არატიპური გამოყენების შემთხვევები, სწორედ ასეთ სადავო საკითხებს განიხილავს და ცდილობს, ახსნას და თავისი ადგილი მიუჩინოს მათ ენაში. ნაშრომში აკადემიურად, დამაჯერებლად და ძალზე საინტერესოდ არის განხილული დღემდე სადავოდ ქცეული ისეთი საკითხები, როგორცაა „ქრისტე აღდგა“ თუ „ქრისტე აღდგა“, ყვავის თუ ჰყვავის, მიქრის თუ მიჰქრის... და ა. შ. ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისით, პირის ნიშნები ამ შემთხვევაში ლექსიკურ მნიშვნელობათა განმასხვავებლადაა გამოყენებული.

„ენაში არსებობს მნიშვნელობათა ორი სახეობა: ლექსიკური და გრამატიკული, რომლებიც შესაბამისი ფორმოზრივი ინვენტა-

რით (სიტყვათწარმოებითი და ფორმათწარმოებითი ფორმანტებით) გამოიხატება, – აღნიშნავს მკვლევარი, – როგორც ცნობილია, ფაკულტატიურ (არამირითად) მოვლენასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ლექსიკურ მნიშვნელობათა განმასხვავებლად გამოიყენება ის ფორმანტები, რომლებიც, როგორც წესი, ენაში ფორმათწარმოებითი დანიშნულებითაა გამოყენებული. და პირიქით, გრამატიკულ მნიშვნელობებს განასხვავებენ ყველა სხვა შემთხვევაში ლექსიკურ მნიშვნელობათა განმასხვავებელი ფორმანტები.

ფაკულტატიური საშუალებანი იმ ენობრივ მოვლენათა რიგს განეკუთვნება, რომლებიც ლამის ყოველდღიურად იჩენენ თავს ენაში. ბევრი მათგანი უკვალოდ იკარგება, ზოგიც უფრო ხანგრძლივად შემორჩება ენას; უმცირესი ნაწილი კი საბოლოოდ მკვიდრდება და დროთა განმავლობაში შესაძლოა სიტყვათწარმოების ძირითად წესადაც იქცეს“, – აღნიშნავს ბესარიონ ჯორბენაძე [ჯორბენაძე 1985: 11].

სწორედ ამ მოვლენის თვალსაჩინო ნიმუშია **აღდგომა** სიტყვის სემანტიკური გადააზრებაც, მოგვყავს რამდენიმე ამონარიდი ბესარიონ ჯორბენაძის წიგნიდან:

„ზმნისწინთა ძველი და ახალი სახეობის დაპირისპირება დასაშვებია გამოყენებულ იქნეს ლექსიკურ მნიშვნელობათა განსახვავებლად... დაპირისპირების სრული სახეობით ნაწარმოები ფორმები ყველა შემთხვევაში განსხვავებულია მნიშვნელობის თვალსაზრისით, ე. ი. არცერთ შემთხვევაში არა აქვთ საერთო მნიშვნელობა (იგულისხმება თანამედროვე ქართული მეტყველების ვითარება...)... რამდენიმე ტიპური ნიმუში:

**აღ-დგომა** – ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღესასწაული, ისტორიულად მომდინარეობს გაზაფხულის დღესასწაულისგან. გადატანით: დღესასწაული, ზეიმი, სასიხარულო დღე. გრამატიკულად მასდარია **აღ-დგ-ებ-ა** ზმნისა.

**ა-დგომა** – ვერტიკალური მდგომარეობის მიღება. გრამატიკულად მასდარია **ა-დგ-ებ-ა** ზმნისა.

„ავი კაცი აღდგომასაც ავიაო“ (ანდაზა).

„აღდგომა – კიდევ არაფერი! ეს არ ეზარებოდა ლუარსაბსა“ (ილია).

დაპირისპირება გასდევს უღვლილების მთელ პარადიგმას. აწმყოში დამოწმებულია მხოლოდ მეორე მნიშვნელობით გამოყე-

ნებული ფორმა:

რა ხდება:	–	დგ-ებ-ა
რა მოხდება:	აღ-დგ-ებ-ა	ა-დგ-ებ-ა
რა მოხდა:	აღ-დგ-ა	ა-დგ-ა
რა მომხდარა:	აღ-მდგარ-ა	ა-მდგარ-ა

**ა-ღ-დგ-ებ-ა** ფორმას მოქმედებითად **აღ-ა-დგ-ენ-ს** ზმნა მოუ-  
დის, **ა-დგ-ებ-ა** ზმნას – სუპლექტური **ა-ა-ყენ-ებ-ს**.

**აღ-ა-დგ-ენ-ს** სამი მნიშვნელობითაა დამოწმებული:

ა) გააცოცხლებს;

ბ) ხელახლა ააშენებს, გააკეთებს, წინანდელ სახეს მისცემს, ააღორძინებს, განაახლებს;

გ) ხელახლა მიიღებს სამსახურში, სასწავლებელში...

შესაბამის მასდარად ორი ფორმა ფუნქციონირებს: **აღ-დგ-ომა** და **აღ-დგ-ენ-ა**.

**„აღდგომა“** ფორმის განმარტება ზემოთაა მოცემული.

**„აღდგენა“** – 1. ხელახლა აშენება, აღორძინება, განახლება;

2. სამსახურში, სასწავლებელში ხელახლა

მიღება.

**აღ-დგ-ებ-ა** ორი მნიშვნელობის გამომხატველად გველინება:

1. გააცოცხლდება;

2. განახლდება, აღორძინდება, ძველ სახეს (სტატუსს) და-  
იბრუნებს.

ამ ორი მნიშვნელობის ფორმოზრივი გარჩევა ისევ ფაკულ-  
ტატიურ საშუალებას დაეკისრა – პირის ნიშანს:

**აღ-ს-დგ-ებ-ა** – გააცოცხლდება,

**აღ-დგ-ებ-ა** – განახლდება, ძველ სახეს დაიბრუნებს.

შენიშვნა: პირის ნიშანთა ფაკულტატიური გამოყენების  
შემთხვევები იხ. ქვემოთ.

**„ქრისტე აღ(ს)დგა“.**

„დანგრეული ქალაქები **აღდგა“.**

„გარიცხული სტუდენტი **აღდგა** მესამე კურსზე“...

ზმნურ და მასდარულ ფორმათა მიმართება სქემაზე ასე  
წარმოგვიდგება:

$$\text{აღდგ-ებ-ა} \left\{ \begin{array}{l} \text{ქრისტე} > \text{აღ-დგ-ომ-ა (ქრისტესი)} \\ \text{ქალაქი} \\ \text{სტუდენტი} \end{array} \right\} > \text{აღ-დგ-ენ-ა (ქალაქის,} \\ & \hspace{15em} \text{სტუდენტის...)}$$

ასე რომ, **აღ-** და **ა-** ზმნისწინიან ფორმათა სემანტიკურ დაპირისპირებას რთული ფორმოზრივ-სემანტიკური ცვლილებანი მოჰყვა თან.

წარმოების პრინციპით განირჩნენ ერთმანეთისაგან:

ერთი მხრივ: ა) **აღ-ა-დგ-ენ-ს –აღ-ს-დგ-ებ-ა – აღ-დგ-ომ-ა...**

ბ) **აღ-ა-დგ-ენ-ს – აღ-დგ-ებ-ა – აღ-დგ-ენ-ა...**

მეორე მხრივ: **ა-ა-ყენ-ებ-ს – ა-დგ-ებ-ა**, რომელთაც თავ-თავისი მასდარი მოეპოვებათ: **ა-ყენ-ებ-ა – ა-დგ-ომ-ა**.

დაპირისპირება ზმნისწინის ორი ფონეტიკური ნაირსახეობის საშუალებით ხდება მიმდებარეობაშიც: **აღ-მდგარ-ი – ა-მდგარ-ი...**“ [ჯორბენაძე 1985: 50-52].

ბ. ჯორბენაძის წიგნიდან ასეთი ვრცელი ციტატის მოყვანა საჭიროდ ჩავთვალეთ, რადგანაც, მისი მსჯელობიდან გამომდინარე, ყველაფერი ძალიან ნათელია. ამავე წიგნში არის ასეთი თავი: „VII. პირის ნიშანთა ფაკულტატიური დანიშნულებისათვის ქართულში“.

კიდევ ერთი ამონარიდი ბ. ჯორბენაძის ნაშრომიდან:

„პირის ნიშანთა დანიშნულებაა გრამატიკული პირის აღნიშვნა...“

ამჯერად ჩვენ მხოლოდ ის იშვიათი შემთხვევები გვაინტერესებს, როცა პირის ნიშნები ლექსიკურ მნიშვნელობათა განსახვავებლად გამოყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ პირის კატეგორია ერთ-ერთი სტაბილური ზმნური კატეგორიაა, ამ შემთხვევაშიც აღმოჩნდა შესაძლებელი მისი ფაკულტატიური გამოყენება სულ სხვა დანიშნულებით...

ამ დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ენის მფლობელის დამოკიდებულებას ენობრივი მოვლენებისადმი.

ამიტომაც ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ კ. გამსახურდიას ერთი მოსაზრება. საუბარია ერთ-ერთი ლექსის სათაურის შესახებ: „ამ ლექსის სათაური იყო „ჰყვავის გურია“ კი არა, „ყვავის გურია“. ამიტომ გურულები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ჩემს წინაშე და მიმტკიცებდნენ, რომ გურია ყვავისა კი არ არისო, საქართველოსიაო“ (გამსახურდია 1965: 493). შემდეგ: უნდა იყოსო ჰქონდა, მიჰქრის... „მიქრის – ეს ხომ ღიმი-



ლის მომგვრელი სიტყვაა, ე. ი. მის წარმომთქმელს თავში უქრის... ჩანს – რა ქართულია? უცილოდ უნდა დაიწეროს სჩანს...“ (გამსახურდია 1967: 261).

წმინდა გრამატიკული პოზიციიდან უთუოდ მცდარ ამ მსჯელობაში ნათლადაა წარმოჩენილი ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა ფაკულტატიური განსხვავების ტენდენცია“, – შენიშნავს ბესარიონ ჯორბენაძე... [ჯორბენაძე 1985: 143].

„ქართულში კიდევ დაიძებნება რამდენიმე შემთხვევა, როცა პირის ნიშნები ლექსიკურ მნიშვნელობათა განსახვავებლად გამოყენებული:

თვლ-ის – რისამე რაოდენობას არკვევს. ჩა-თვალ-ა ნიშნავს: „მიითვალა“.

ს-თვლ-ის – მიაჩნია, ჰგონია. ჩა-ს-თვალ-ა ნიშნავს: „მიიჩნია“...

ს- პრეფიქსი მორფოლოგიურად ზედმეტია. მისი პოვნირება სუბიექტური ფაქტორით აიხსნება – ცდაა, ფორმოზბრივად განსხვავდეს ლექსიკურად დაპირისპირებული ფორმები“ [ჯორბენაძე 1985: 148].

აგრეთვე ჩამოთვლილია შემდეგი ნიმუშები: ჩანს – სჩანს; წევს – სწევს...

„ზემოთ ზმნისწინთა ძველ და ახალ სახეობათა ფაკულტატიური დანიშნულების რკვევისას დასახელებული იყო აღ-დგ-ა და ა-დგ-ა ფორმათა სემანტიკური დაპირისპირების ფაქტიც.

თავის მხრივ, აღ-დგ-ა დაუკავშირდა ორ მნიშვნელობას:

ა) „მკვდრეთით აღდგომა, გაცოცხლება“;

ბ) „აღდგენა“.

**ენამ აქაც სცადა სხვაობის დამყარება და ეს დანიშნულება მორფოლოგიურად ზედმეტ ს- პირის ნიშანს დააკისრა:**

„აღ-ს-დგ-ა მკვდრეთით“ მაგრამ: „აღ-დგ-ა თავის უფლებებში“ [ჯორბენაძე 1985: 148].

ბ. ჯორბენაძე იქვე იმოწმებს რამდენიმე პოეტის ლექსსაც:

„როცა, სატრფოვ, ტანჯულთ ცრემლი

ვარდს აესხმის მარგალიტად, მაშინ მითხარ – „ქრისტე აღ-სდგა!“;

მაშინ გეტყვი – „ჭიმმარიტად!“ (ი. გრიშაშვილი).

ასევე:

„ისევ **აღვსდექი!** მუხრანის ბოლოს ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს“ (გ. ლეონიძე)...

შეიძლება აქვე დავიმოწმოთ სხვა მსგავსი ილუსტრაციები აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან. აკაკი წერეთლის მოთხრობა „რაჭის ერისთავი როსტომ“:

„**ქრისტე აღსდგა!**“ – ახარებს მღვდელი მრევლს. – „ქეშმა-რიტად!“ – ერთხმად შეგრგვინავს მრევლიც და ერთი სიტყვა თვრამეტი საუკუნისგან გაფოლადებული, ძვალ-რბილში უვლის ყველას“... „მგალობლებიც სამხიარულოდ აკრიმანჭულებენ **„ქრისტე აღსდგას“**... „აბა, ერთი ჩვენებური ძველებური **„ქრისტე აღსდგა!**“ დავძახოთო, – უთხრა [როსტომ] ერისთავმა [ჯაფარას]... ახალგაზრდა მხლებელმა დაიწყო, ჯაფარამ მაღალი ბანი მიაყოლა, და როსტომ ერისთავმა ზედ დვრინი დააკვერა. გაისმა **„ქრისტე აღსდგა!“**, რომლის მსგავსიც მანამდე საწერეთლოს არა გაუგონია რა“... [აკაკი 1989: 282-283].

ვაჟა-ფშაველა:

„მალე აღდგომა მოვა და ყველანი ერთად შემოვძახებთ: **„ქრისტე აღსდგა** მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილითა დამთრგუნველი“ („დიდ-მარხვა“); „მღვდელი შეიმოსა, აიღო კელაპტარი და გაუძღვა წინ ხალხს **„ქრისტე აღსდგა“-ს** გალობით“ („სააღდგომოდ“); „ქედს ნუ მოიხრით მონურად, მალევე ნუ დაიჩაგრებით, **აღსდგება ქრისტე**, ნუ სტირით, შემოიკრიბეთ მხნეობა!“ („დიდ-მარხვა“); **„აღსდგება საქართველოვო!**“ – გამირთა სათქმელი ის არი“ („ჩვენება“)... [ვაჟა 1992, 1995].

ბ. ჯორბენაძე შენიშნავს: „დადასტურდა ისეთი შემთხვევაც, როცა ლექსიკურ მნიშვნელობათა გარჩევის უნარი აღმოაჩნდა პირის ნიშნის პოზიციას: ჩა-დი-ს – ზევიდან ქვევით მიდის, მიემართება; ს-ჩადი-ს – აკეთებს, შვრება, იქმს რასმე...“

ამრიგად, პირის ნიშნის მორფოლოგიურად უმართებულო გამოყენება ანდა მისი პოზიცია ზმნისწინთან მიმართებით გააზრებულ იქნა – როგორც ლექსიკურ მნიშვნელობათა განსხვავების შესაძლებლობა.

ბუნებრივია, ეს ფაქტიც მნიშვნელობათა გამოხატვის ფაკულტატიურ საშუალებათა რიგს განეკუთვნება“ [ჯორბენაძე 1985: 149].

დროთა განმავლობაში იცვლება ენა და იცვლება სალიტე-

რატურო ნორმებიც, ხდება ფონეტიკური ცვლილებები, შემოდის ახალი ლექსიკა... ეს ბუნებრივია: ცოცხალი ენის განვითარების პროცესში, მის საერთო გრამატიკულ სისტემაში, ფორმათა ვარიანტულობა იჩენს თავს და, შესაბამისად, საჭირო ხდება ამგვარი არაერთგვაროვნების მოწესრიგება. მოცილე ფორმათაგან უპირატესობა ენიჭება იმას, რომელიც შეესაბამება ენის განვითარების ძირითად ხაზს, მის ბუნებრივ ტენდენციებს, რასაც არეგულირებს სალიტერატურო ენის ნორმები.

კარგადაა ცნობილი, რომ სალიტერატურო ენა ნორმირებული სისტემაა, წინასწარ შემუშავებულ წესებსა და კანონებზე დამყარებული. და მაინც, არსებობს ისეთი ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მონაცემები, რომლებიც სავსებით უმართებულოა ქართული ენის გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით (დაღმა, აქაური, იქაური (კაცი), ვდგავარ, ვზივარ...), მაგრამ მათ საკუთარი, მყარი ადგილი აქვთ ენაში მოპოვებული. როგორც აკად. არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავდა, მათ „უყოყმანო სოციალური სანქცია“ აქვთ.

„სოციალური სანქცია“ გულისხმობს ამა თუ იმ ფორმის გავრცელებულობას და სალიტერატურო ენაში დამკვიდრებას. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური სანქცია იმავეს ნიშნავს, რასაც გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე გამონათქვამში: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორიტიკა“.

„ნორმა თავისი შინაარსით დინამიკური მონაცემია; მართალია, იგი სინქრონიულ დონეზე განსაზღვრულ სტატუსს გულისხმობს და ამით განაპირობებს სალიტერატურო ენის სტაბილიზაციას, მაგრამ ისტორიული ასპექტით თვით ნორმა ექვემდებარება ენის ისტორიულ ცვალებადობას, მის განვითარებას“ [არაბული 2008: 38].

ვფიქრობთ, **„ქრისტე აღსდგა! – ჭეშმარიტად!“**, როგორც ქრისტიანული ტერმინი (მილოცვის ფორმულა), მყარადაა დამკვიდრებული და აკაკი წერეთლის სიტყვები რომ გავიმეოროთ, – „ეს ერთი სიტყვა, თვრამეტი საუკუნისგან გაფოლადებული“ (დღეს უკვე ოცი საუკუნისაგან), ძვალ-რბილში რომ უვლის ყველას, უყოყმანოდ „სოციალური სანქციის“ მფლობელია.

## ლიტერატურა

**აკაკი 1989** – აკაკი წერეთელი, რჩეული თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბილისი.

**არაბული 2008** – ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

**ვაჟა 1992, 1995** – ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, ტ. V, თბილისი.

**კეკელიძე 1980** – კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, „განჩინება და განწესება მოძღვართა მიერ მართლმორწმუნეთად, რომელსა ჰყოფენ იერუსალჴმს“, თბილისი.

**შანიძე II, 1981** – აკაკი შანიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი.

**შანიძე 1912** – აკაკი შანიძე, „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე III, თბილისი.

**ჯორბენაძე 1985** – ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბილისი.

## Nino Khakhiashvili

### „kriste aysdga“ or „kriste aydga“? “Christ has risen!”

#### Summary

I believe, that from the grammatical standpoint, the arguable greeting „**kriste aysdga**“ „Christ has risen!“ of the great Christian Holiday Easter – one of the twelve Lord’s Holidays, as a term (greeting formula) traditionally established over the centuries (in liturgical texts, in works of classicists, during the divine services on holidays) has obtained its own firm place in the language and according to Arnold Chikobava’s words „has firm social sanction“.